



გალტი & თავართი

მშენიშნობის მსახურები

# ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა

12 დეკემბერი 2023

## ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.8036

## კახაბერ სამყურაშვილი

სექტორული კვლევების ხელმძღვანელი | [ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.4298

## სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | [s.kurashvili@gt.ge](mailto:s.kurashvili@gt.ge) | +995 322 401 111 ext.3654



## ნედლეულის ფასების დინამიკა

ნედლეული	ფასი	ცვლილება, თვე/თვე*	ცვლილება, 2023 წლის დასაწყისიდან	ფასის ცვლილება 2021 წლის იანვრიდან დღემდე
<b>ამონიუმის ნიტრატი</b> აშშ დოლარი/ტონა	172.5	-14.8%	-52.7%	
<b>ნავთობი (brent)</b> აშშ დოლარი/ბარელი	82.8	-5.2%	-3.6%	
<b>სპილენძი</b> აშშ დოლარი/ტონა	8,387.5	+4.5%	+0.3%	
<b>ფეროსილიკონი (ჩინეთი)</b> აშშ დოლარი/ტონა	1,335.0	-1.5%	-18.9%	
<b>ფეროსილიკონი (ევროპა)</b> აშშ დოლარი/ტონა	1,339.5	-0.3%	-32.4%	
<b>ოქრო</b> აშშ დოლარი/უნცია	2,036.4	+2.7%	+11.6%	
<b>ბუნებრივი აირი</b> აშშ დოლარი/მვტ სთ	45.7	+10.8%	-34.3%	
<b>ხორბალი</b> აშშ დოლარი/ტონა	255.5	+5.8%	-9.5%	

წყარო: ბლუმბერგი

\*თ/თ გულისხმობს თვის ბოლო მონაცემების ცვლილებას



# ენერჯეტიკა

## ნავთობი

2023 წლის ნოემბერში ნავთობის ფასი 5.2%-ით შემცირდა. 26 ნოემბერს დაგეგმილი OPEC+-ის შეხვედრის მოლოდინში ინვესტორები ფრთხილად ვაჭრობდნენ, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა შეხვედრის 30 ნოემბრამდე მოულოდნელად გადადებამ. ინვესტორები ბოლო დროს გაზრდილი მიწოდების ფონზე წარმოების მნიშვნელოვნად შემცირებას ვარაუდობდნენ, თუმცა მიწოდების დღეში 900,000 ბარელით შემცირების გადაწყვეტილებამ და მისი სრულად შესრულების დაპირების სიცხადის ნაკლებობამ ინვესტორების მოლოდინები არ გაამართლა. შესაბამისად, ნავთობმა ზედიზედ მეექვსე კვირას კლება განაგრძო. მომავალი წლისთვის Goldman Sachs ნავთობის ფასის \$80-\$100 დიაპაზონში მერყეობას ელის, BMI Research-ის მიხედვით კი მისი საშუალო ფასი 2024 წელს \$85 იქნება.

## ბუნებრივი აირი


2023 წლის ნოემბერში ბუნებრივი აირის ფასი 10.8%-ით გაიზარდა. მიუხედავად თვიური ზრდისა, ბუნებრივი აირის ფასი ნოემბრის ბოლო ორ კვირაში მნიშვნელოვნად, 12.3%-ით შემცირდა. ეს შემცირება ევროპის მარაგების 95%-ზე შევსებამ და ამერიკის Energy Information Administration-ის (EIA) მიერ ზედიზედ ორჯერ მარაგების მოულოდნელი ზრდის სტატისტიკის გამოქვეყნებამ განაპირობა. შედეგად, მოსალოდნელზე მეტმა მიწოდებამ და ნაკლებად ცივი ამინდის პროგნოზმა ბუნებრივი აირის ფასი თვის ბოლოს ერთ მეგავატ-საათზე \$45.7-ზე დაასტაბილურა.

გრაფიკი 1: ნავთობის ფასი (BRNOO), აშშ დოლარი/ბარელი




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 2: ბუნებრივი აირის ფასი (ICE Endex Dutch TTF), აშშ დოლარი/მეტ სთ



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 3: ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბენზინის და დიზელის იმპორტის ღირებულება წლიურად 22.2%-ით შემცირდა 2023 წლის 10 თვეში, რაც შედარებით იაფიანი საიმპორტო ბაზრების ათვისებამ განაპირობა.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 4: ბუნებრივი აირის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ბუნებრივი აირის იმპორტის ღირებულება წლიურად 11.2%-ით გაიზარდა 2023 წლის 10 თვეში, რაც განაპირობა როგორც ფასების, ისე მოცულობის ზრდამ, რომელიც წლიურად 6.9%-ით არის მომატებული 2.4 მლნ კუბურ მეტრამდე.

წყარო: საქსტატი



# სოფლის მეურნეობა


## ამონიუმის ნიტრატი

2023 წლის ნოემბერში ამონიუმის ნიტრატის ფასი 14.8%-ით შემცირდა და ტონაზე \$172.5 შეადგინა. უახლოეს თვეებში მოსალოდნელია ამ ფასის შენარჩუნება. ეს მოლოდინი ითვალისწინებს, რომ ფასის შემცირებაზე (ამონიუმის ნიტრატის წარმოების მთავარი კომპონენტის - ბუნებრივი აირის ფასის შემცირება) და ზრდაზე (ჩინეთის მიერ სასუქების ექსპორტის შეზღუდვა 2024 წლის მე-2 კვარტლამდე) მოქმედი ფაქტორები ერთმანეთს დააბალანსებს. აღსანიშნავია, რომ სასუქების გლობალური ვაჭრობა, როგორც წესი, მე-4 კვარტალში ყველაზე მეტად იზრდება, რაც ძირითადად ბრაზილიის და ინდოეთის მსხვილი შესყიდვებით არის გამოწვეული. თუმცა, Bloomberg-ის მოლოდინით ეს შესყიდვები წელს ტრადიციულზე ნაკლები იქნება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკი და Bloomberg 2024 წელს სასუქებზე ფასების შემცირებას პროგნოზირებენ.

## ხორბალი

2023 წლის ნოემბერში ხორბლის ფასი 5.8%-ით გაიზარდა. ხორბლის ფასი ბოლო 1 წლის განმავლობაში მცირდებოდა, რაც უკრაინიდან ექსპორტის თანდათანობით დასტაბილურების შედეგია. ოქტომბრიდან დაწყებული ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი მიწოდების შემცირების რისკია. მიმდინარე წელს ჩინური მოსავალი წყალდიდობამ დააზიანა, რამაც პეკინს ხორბლის იმპორტის ზრდა აიძულა და, სავარაუდოდ, ის წელს რეკორდული რაოდენობის ხორბალს შეიძენს. ნოემბერში კი მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორის, ავსტრალიის მოსავალი ძლიერმა შტორმმა დააზიანა და პოტენციური მიწოდება შეამცირა, რაც თავის მხრივ მიმდინარე წელს უკვე შემცირებული იყო გვალვის გამო. შედეგად, ახლო მომავალში ხორბლის ფასები გაზრდილ ნიშნულზე შენარჩუნდება.

გრაფიკი 5: ამონიუმის ნიტრატის ფასი (შავი ზღვის რეგიონი), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 6: ხორბლის ფასი (Black Sea Wheat Financially Settled Futures), აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 7: აზოტოვანი სასუქების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ღირებულება წლიურად 38.4%-ით შემცირდა 2023 წლის 10 თვეში, რაც ფასების მკვეთრ კლებას უკავშირდება, რადგან ექსპორტის მოცულობა წლიურად 3.5%-ით გაიზარდა 371,000 ტონამდე.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 8: ხორბლის იმპორტი საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 6.0%-ითაა შემცირებული 2023 წლის 10 თვეში. ბოლო წლებში საქართველოში ხორბლის იმპორტის ჩანაცვლება ხდება ხორბლის ფქვილის იმპორტით და ადგილობრივი წარმოების ზრდით.

წყარო: საქსტატი



# ლითონები და მადნები


## სპილენძის მადნები და კონცენტრატები

2023 წლის ნოემბერში სპილენძის ფასი 4.5%-ით გაიზარდა. გასული თვეების კლება ჭარბი მიწოდებით და განვითარებულ ეკონომიკებში დაბალი მოთხოვნით იყო გამოწვეული. ანალიტიკოსები 2024 წელს ნახევარი მილიონი კუბური მეტრით ჭარბ მიწოდებას ელოდნენ, რაც ფასებს კიდევ უფრო დაწვედა. თუმცა, პანამასა და პერუში განვითარებულმა ბოლო მოვლენებმა მოლოდინები შეცვალეს. პანამის სასამართლომ კანადური მომპოვებლის First Quantum-ის ოპერაციები არაკონსტიტუციურად ცნო, პერუში კი სამუშაო ძალის ნახევარი გაიფიცა. სპილენძის ორი მსხვილი მწარმოებლისგან პოტენციურად მცირე მიწოდებამ შესაძლოა ბაზარზე 2024 წელს დეფიციტი გამოიწვიოს.

## ფეროსილიკონი


2023 წლის ნოემბერში ევროპული ფეროსილიკონის ფასი 0.3%-ით, ხოლო ჩინურის 1.5%-ით შემცირდა. სექტემბერში დაფესვირებული ჩინური ფეროსილიკონის ზრდა (3.7%), როგორც აღმოჩნდა, ამ ეტაპზე დროებითი კორექცია იყო და არა ფასების ტრენდის ცვლილება. მიმდინარე წელი ორივე ნედლეულისთვის მძიმე აღმოჩნდა - ევროპულის ფასი წლის დასაწყისიდან 32.4%-ითაა შემცირებული, ჩინურის კი 18.9%-ით. შემცირებული საერთაშორისო ფასები ქართული ფეროშენადნობების ექსპორტშიც წლიური 68.0%-იანი კლებით აისახა.

გრაფიკი 9: სპილენძის ფასი (LME), აშშ დოლარი/ტონა




წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 10: ფეროსილიკონის (75%-იანი სინჯი) ფასი, აშშ დოლარი/ტონა



წყარო: ბლუმბერგი


გრაფიკი 11: სპილენძის საგარეო ვაჭრობა საქართველოში, მილიონი აშშ დოლარი



სპილენძით საგარეო ვაჭრობის უდიდესი ნაწილი რეექსპორტია და გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული. ექსპორტირებული სპილენძის მოცულობა წლიურად 37.2%-ით შემცირდა 220,888 ტონამდე 2023 წლის 10 თვეში.

წყარო: საქსტატი

გრაფიკი 12: ფეროშენადნობების ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



ფეროშენადნობების ექსპორტის ღირებულება წლიურად 68.0%-ით შემცირდა 2023 წლის 10 თვეში, რაც ფასების მკვეთრი კლებით აიხსნება, რამაც მწარმოებლებს უბიძგა შეემცირებინათ ექსპორტის მოცულობაც.

წყარო: საქსტატი




# ძვირფასი ლითონები

## ოქრო


2023 წლის ნოემბერში ოქროს ფასი 2.6%-ით გაიზარდა. ოქტომბრის დასაწყისიდან მისი ღირებულება 11.4%-ითაა მომატებული და გასული აპრილის შემდეგ უმაღლეს ნიშნულსაც მიაღწია. ამჯერად ინვესტორებმა ძვირფას მეთალს ისრაელი-ჰამასის ომის და მისი შესაძლო შედეგების ჰეჯირებისთვის მიმართეს. დამატებით, საპროცენტო განაკვეთების შემცირება და შედარებით სუსტი დოლარის მოლოდინი ძვირფასი მეთალის ფასზე დადებითად მოქმედებს. ანალიტიკოსები ფასის ზრდის გაგრძელებას ელიან და 2024 წლის ბოლოსთვის \$2,200 ნიშნულზე მიღწევასაც არ გამორიცხავენ. TD Securities მიხედვით, 2024 წლის მე-2 კვარტალში ერთი უნცია ოქროს ფასი საშუალოდ \$2,100-ზეა მოსალოდნელი.

გრაფიკი 13: ოქროს ფასი, აშშ დოლარი/უნცია



წყარო: ბლუმბერგი

გრაფიკი 14: ოქროს ექსპორტი საქართველოდან, მილიონი აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

ოქროს ექსპორტის ღირებულება წლიურად 1.8%-ით გაიზარდა 2023 წლის 10 თვეში, რაც ფასების მატებითაა გამოწვეული, რადგან ექსპორტის მოცულობა წლიურად 2.2%-ით შემცირდა 2.19 ტონამდე.



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების, მრჩევლების მიერ არ გაყვამულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი**  
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

**ეკონომისტი**  
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი**  
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

**სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი**  
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**  
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

**სექტორის უფროსი**  
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
გიორგი ცქიტვილი | g.tsikitishvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

**უფროსი ანალიტიკოსი**  
სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

**ანალიტიკოსი**  
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

**გალტ ენდ თაგარტი**

**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

**ტელ:** + (995) 32 2401 111

**ელ. ფოსტა:** research@gt.ge